წესდება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

თბილისი.
2024

1. ზოგადი დებულებები.

1.1. ორგანიზაციის სრული სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია“ (**სმეფ**). საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის **„Georgian Archery National Federation**”(**GANF).**

1.2. საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია (შემდგომში “ფედერაცია”) არის საქართველოში მშვილდოსნობის სპორტში ერთადერთი ხელმძღვანელი ორგანიზაცია. ფედერაციის უფლებამოსილება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ფედერაცია იქმნება განუსაზღვრელი ვადით. ფედერაციის წინამდებარე წესდება და ფედერაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც გამოცემულია მისი კომპეტენციის ფარგლებში, სავალდებულოა შესასრულებლად ფედერაციის ყველა წევრისთვის.

1.3. ფედერაციის იურიდიული მისამართია: საქართველო ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 16, სართ 10, ოთახი 10 და რეგისტრირებულია შესაბამის რეესტრში.

1.4. ფედერაცია წარმოადგენს არასამთავრობო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომელიც ისახავს მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებს. ეკონომიკური საქმიანობა, მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობა, არ წარმოადგენს ფედერაციის მიზანს, თუმცა მისი განხორციელება მას შეუძლია კანონით დადგენილ ფარგლებში.

1.5. ფედერაცია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წესდებისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.6. ფედერაცია წარმოადგენს მშვილდოსნობის სპორტს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ და არის მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციის WORLD ARCHERY-ს (WA) და მშვილდოსნობის ევროპის ფედერაციის WAE -ს წევრი; ცნობს და ხელმძღვანელობს მათი წესდებებით და დებულებებით, ხელს უწყობს მათი მიზნების განხორციელებაში.

1.7. ფედერაცია აღიარებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ, იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით და ხელმძღვანელობს სამინისტროს დებულებებით, რეკომენდაციებით.

1.8. ფედერაცია ცნობს ოლიმპიური მოძრაობის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, ფედერაცია, როგორც საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წევრი, თავის საქმიანობას წარმართავს მასთან მჭიდრო ურთიერთკავშირით.

1.9. ფედერაცია ხელშეკრულების საფუძველზე თანამშრომლობს სპორტის სახელმწიფო ორგანოებთან და არასამთავრობო სპორტულ ორგანიზაციებთან. დამოუკიდებლად განაგებს თავის ქონებას კუთვნილების, სარგებლობის და განკარგვის უფლებით. საკუთარი სახელით იძენს სპორტულ და აუცილებელი საჭიროების სხვა ინვენტარს, დებს ხელშეკრულებებს და გარიგებებს, იღებს

საქველმოქმედო და სხვა სახის შემოწირულობებს, საკუთარი სახელით გამოდის მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში ან არბიტრაჟში.

1.10. ფედერაცია აღიარებს გენდერულ თანასწორობას და ებრძვის ნებისმიერ დისკრიმინაციულ მიდგომას.

1.11. დაუშვებელია რაიმე სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიხედვით.

1.12. ფედერაციის წევრები ხელმძღვანელობენ მსოფლიო მშვილდოსნობის ეთიკის კოდექსით.

1.13. ფედერაცია ატარებს ანტი-დოპინგურ პოლიტიკას, რისთვისაც ხელმძღვანელობს მსოფლიო მშვილდოსნობის ანტიდოპინგური წესებით და მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ეროვნულ ანტიდოპინგურ სააგენტოსთან.

1.14. ფედერაცია დამოუკიდებელია შიდა საქმიანობის განხორციელებაში. არც ერთ მესამე მხარეს ან/და გარეშე პირს არ აქვს უფლება ჩაერიოს ფედერაციის საქმიანობაში ფედერაციასთან შეთანხმების გარეშე.

2. ფედერაციის საქმიანობის მიზნები და ამოცანები.

2.1. ფედერაციის საქმიანობის მიზნები და ამოცანებია:

- საქართველოში მშვილდოსნობის შემდგომი განვითარება და პოპულარიზაცია;
- მაღალკვალიფიციურ სპორტსმენთა მომზადების სისტემის სრულყოფა, საქართველოს ნაკრები გუნდების გამოსვლის უზრუნველყოფა ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ტურნირებზე;
- საქართველოში ადგილობრივი და საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება და ჩატარება, მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება კონფერენციების, სემინარების, ღია და „ონ-ლაინ“ სემინარების საშუალებით;
- ხელი შეუწყოს საქართველოს მშვილდოსნებს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობაში;
- თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს მშვილდოსნობის გაერთიანებების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას;
- მშვილდოსნობის წარმოდგენა საქართველოში და საზღვარგარეთ, ასევე თავისი ინტერესების განხორციელება მშვილდოსნობის საერთაშორისო ფედერაციის, ევროპის მშვილდოსნობის ფედერაციის, საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის წინაშე.
- იხელმძღვანელოს მოქმედი „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის ასევე კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ გათვალისწინებული წესებით;
- მშვილდოსნობის მსოფლიო ფედერაციისთვის (WA) საქართველოს მშვილდოსნობის ფედერაციის მოსაზრებების მიწოდება.

2.2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ფედერაცია:

- შეიმუშავებს და ახორციელებს მშვილდოსნობის განვითარების პროგრამებს, ქმნის ნაკრებ გუნდებს, ნიშნავს და ათავისუფლებს მათ მწვრთნელებს, უზრუნველყოფს მათ მომზადებასა და მონაწილეობას სპორტულ ღონისძიებებში, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ;
- ორგანიზებას უწევს საქართველოში ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებების გამართვას;
- ამტკიცებს შეჯიბრებების წესებს, ტურნირის დებულებებს და სპორტული ღონისძიებების კალენდარულ გეგმას;
- წარმოადგენს ფედერაციის ინტერესებს სხვადასხვა ორგანიზაციებში;
- საწესდებო მიზნებიდან გამომდინარე ახორციელებს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას;
- გამოსცემს სასწავლო-მეთოდურ, საცნობარო-საინფორმაციო და სხვა სახის ლიტერატურებს;
- სხვა სპორტულ გაერთიანებებთან ერთად მონაწილეობს სპორტული რეზერვების მომზადების, მწვრთნელთა და მსაჯთა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების, შერჩევა-განაწილების საკითხების გადაწყვეტაში და პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარებაში;
- წარადგენს მასალებს და შესაბამის ორგანოებში შუამდგომლობს მშვილდოსანთათვის, მწვრთნელებისთვისა და მსაჯებისთვის შესაბამისი სპორტული კატეგორიის, საპატიო წოდების მინიჭების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოში;
- ამუშავებს და ახორციელებს მეთოდურ და მეთოდოლოგიურ რეკომენდაციებს, ატარებს სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, შეკრებებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს;
- ფედერაცია მოქმედებს საერთაშორისო ანტი-დოპინგური წესდების (კოდექსის) მიხედვით და მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ანტი-დოპინგურ სააგენტოსთან;
- უზრუნველყოფს მწვრთნელთა და მსაჯთა სერტიფიცირებას;
- ქმნის ფედერაციის ფონდს;
- სრულად ეყრდნობა „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მოცემულ დებულებებს და მოქმედებს ამ დებულებების მიხედვით;
- ითვალისწინებს „გენდერული თანასწორობის“ პოლიტიკას.
- მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და სრულად იზიარებს მის რეკომენდაციებს;
- მუდმივ კავშირშია საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან;

2.3. ფედერაციას შეუძლია განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, სამეწარმეო საქმიანობა.

2.4. ფედერაციის ოფიციალური სამუშაო ენა ქართულია:
- ყველა შეხვედრა, ყრილობა, ადგილობრივ ორგანიზაციებთან კორესპონდენცია, დოკუმენტაცია წარმოებს ქართულ ენაზე;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა წარმოებს ინგლისურ ენაზე.

2.5. ფედერაცია თავისი ამოცანების შესრულებისთვის, მოქმედებს „კარგი მმართველობის“ პრინციპების გამოყენებით.

3. ფედერაციის წევრები.

3.1. ფედერაციის წევრი შეიძლება იყოს სპორტის შესაბამის სახეობასთან თავისი საქმიანობით (არანაკლებ 2 წლისა) დაკავშირებული საქართველოს მოქალაქე/საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი სუბიექტი:

ა) ფიზიკური პირი 18 წლის ასაკიდან;

ბ) ყველა ასაკობრივი ჯგუფის მშვილდოსანი,რომელიც მონაწილეობას ღებულობს საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში;

გ) იურიდიული პირი, კერძოდ:

- სპორტული კლუბი/იურიდიული პირის სტატუსის მქონე სპორტული გუნდი;
- რეგიონული ფედერაცია, რომელიც დაფუძნებულია ფედერაციისა და მისი ხელმძღვანელობისაგან დამოუკიდებლად და ფედერაციაში გაწევრიანდა ამ მუხლით დადგენილი წესით;
- სპორტის სახეობასთან დაკავშირებული ორგანიზაცია (მაგ.: ფედერაციაში შემავალი ცალკეული სახეობების ასოციაცია, სპორტის სახეობასთან დაკავშირებული პირების (სპორტსმენები, მწვრთნელები, მსაჯები) კავშირი, სპორტის სახეობაში მომუშავე ორგანიზაცია/გაერთიანება, მათ შორის, მუნიციპალიტეტის სპორტის მიმართულების ა(ა)იპ, რომელიც ფუნქციონირებს ფედერაციაში შემავალი სახეობების მიმართულებით).

3.2. ფედერაციის მიერ დაფუძნებული ფილიალი, რეგიონული ფედერაცია ან სხვა ორგანიზაციული დანაყოფი ფედერაციის წევრი არ არის.

3.3. იურიდიულ ან ფიზიკურ პირს ფედერაციის წევრად იღებს გამგეობა ფედერაციის ოფისში შემოსული განცხადების საფუძველზე.

3.4. გამგეობა მომდევნო სხდომაზე (არაუგვიანეს ერთი თვისა) განიხილავს გაწევრიანების შესახებ განცხადებას და იღებს გადაწყვეტილებას. ამ ვადაში გამგეობის მიერ პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარის ტოლფას გადაწყვეტილებად.

3.5. ფედერაციაში გაწევრიანებაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, თუ განმცხადებელმა არ მიიღო უარის დასაბუთება.

3.6. ყოველ წევრს (იურიდიულ და ფიზიკურ პირს) უფლება აქვს გავიდეს ფედერაციიდან ფედერაციის ოფისში გამოგზავნილი წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.7. წევრობის გადაცემა სხვა პირისთვის არ დაიშვება;

3.8. ფედერაციის წევრი (იურიდული და ფიზიკური პირი) შეიძლება გარიცხულ იქნას ფედერაციის წევრობიდან შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

- თუ მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფედერაციის მიზნებს, რეპუტაციულ ზიანს აყენებს მას, ლახავს ფედერაციის სახელსა და ღირსებას;

- ფედერაციის ინტერესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

3.9. იმ შემთხვევაში, თუ ფედერაციის წევრი გარიცხული იქნება ფედერაციის წევრობიდან, წევრის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია გამგეობის გადაწყვეტილებით, დადგენილი წესის შესაბამისად დავალიანებული საწევრო გადასახადის (გარიცხვიდან - აღდგენამდე) დაფარვის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3.10. ფედერაციის წევრებმა უნდა იხადონ ყოველწლიური საწევრო გადასახადი, რომლის პირობებს ადგენს გამგეობა:

- გადამხდელი სუბიექტი;
- საწევროს ოდენობა;
- გადახდის თარიღი.

3.11. საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში, ფედერაციის წევრს შეუჩერდება ფედერაციის მიერ დაგეგმილ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობა (მათ შორის ყრილობაში), დავალიანების სრულად დაფარვამდე. დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში გამგეობა ავტომატურად აღუდგენს ყველა ღონისძიებაში (მათ შორის ყრილობაში) მონაწილეობის მიღების უფლებას.

3.12. დაუშვებელია ფედერაციაში ახალი წევრების მიღება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვამდე 6 თვის განმავლობაში. განსაკუთრებულ შემთხვევაში, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, მოცემული 6 თვის განმავლობაში ფედერაციაში შესაძლებელია მიღებულ იქნეს ახალი წევრი იმ დათქმით, რომ ახალ წევრს ხმის მიცემის უფლება არ ექნება ფედერაციის პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებზე.

3.13. ფედერაციამ უნდა აწარმოოს ფედერაციის წევრთა ელექტრონული რეესტრი, რომელიც განთავსდება ფედერაციის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისთვის.

3.14. გამგეობის გადაწყვეტილებით ფედერაციის წევრად შეიძლება მიღებულ იქნას ფიზიკური პირი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის მშვილდოსნობის და ოლიმპიური მოძრაობის განვითარების საქმეში. მას შეიძლება მიენიჭოს ფედერაციის საპატიო წევრის/პრეზიდენტის სტატუსი.

4. წევრის უფლებები და მოვალეობები.

4.1. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

- მიიღოს მონაწილეობა ფედერაციის კომიტეტების და საბჭოების მუშაობაში;
- მიიღოს მონაწილეობა იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ახორციელებს ფედერაცია;
- მონაწილეობდეს ფედერაციის პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში, კვალიფიკაციისა და შესაძლებლობების შესაბამისად;

- მიიღოს ფედერაციისგან ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია. აუცილებლობის შემთხვევაში მიიღოს სხვა დამატებითი ინფორმაცია;
- ისარგებლოს ფედერაციის საკუთრებაში არსებული ინფრასტრუქტურით და ქონებით, თუ ეს არ ხელყოფს ფედერაციის ინტერესებს.

4.2. ფედერაციის წევრი მოვალეა:

- გადაიხადოს საწევრო შესატანი, გამგეობის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;
- გაუფრთხილდეს ფედერაციის ღირსებასა და ავტორიტეტს;
- აქტიურად შეუწყოს ხელი ფედერაციის წინაშე არსებული ამოცანების გადაწყვეტას;
- გაუფრთხილდეს ფედერაციის ქონებას;
- დაიცვას ფედერაციის წესდება, დებულებები და გადაწყვეტილებები.

5. ფედერაციის სტრუქტურა.

ფედერაციის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- ფედერაციის ყრილობა;
- ფედერაციის გამგეობა;
- აღმასრულებელი საბჭო;
- ფედერაციის კომიტეტები და საბჭოები;
- ფედერაციის ოფისი.



6. ფედერაციის ყრილობა.

6.1. ფედერაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს ფედერაციის ყრილობა, რომელიც ტარდება ფედერაციის წევრების (იურიდიული და ფიზიკური პირის) მონაწილეობით.

6.2. ყრილობა ირჩევს პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტ(ებ)ს, გამგეობის წევრებს.

6.3. ფედერაციის რიგითი ყრილობა მოიწვევა წელიწადში ერთხელ, ხოლო საარჩევნო ყრილობა მოიწვევა არაუგვიანეს 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვის ვადის გათვალისწინებით.

6.4. ყრილობის, მათ შორის, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის უფლება აქვთ:

- ფედერაციის პრეზიდენტს/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს;
- ფედერაციის გამგეობას;
- ფედერაციის წევრთა არანაკლებ 25%-ს (მხოლოდ რიგგარეშე ყრილობის შემთხვევაში).

6.5 ყრილობა შედგება დელეგატებისგან, რომლებიც არიან ფედერაციის წევრები, ამ მუხლით დადგენილი დათქმების გათვალისწინებით. ყველა დელეგატი თანასწორია, განურჩევლად იურიდიული სტატუსისა.

6.6. ფედერაციაში გაწევრიანებულ ფიზიკურ პირებს ამ წესდების 6.7. პუნქტის გათვალისწინებით უფლება აქვთ ყრილობაზე წარადგინონ დელეგატები. ყრილობის დელეგატებად არჩევისას უპირატესობა ენიჭებათ მოქმედ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიო ჩემპიონატის, მსოფლიო თასის, ევროპის თასის პრიზიორებს, აგრეთვე 21+ ასაკობრივი ჯგუფის საქართველოს ჩემპიონებს, საქართველოს თასის ფინალური ეტაპის გამარჯვებულებს, საქართველოს თასის ეტაპის გამარჯვებულებს 70 მეტრზე სროლაში. აღნიშნული პირების დელეგატებად წარდგენა მოხდება გამგეობის მიერ, ხმის უფლების მქონე იურიდიული პირების განსაზღვრის პარალელურად.

6.7. ფედერაციაში, ფიზიკურ პირ წევრთა რაოდენობის მიუხედავად ფედერაციის ყრილობის დელეგატთა სამ მეოთხედს ფედერაციის წევრი იურიდიული პირები უნდა წარმოადგენდნენ, „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „6[1]“ პუნქტის შესაბამისად.

6.8.საარჩევნო ყრილობის ჩატარების ციკლის დარღვევის შემთხვევაში და ახალი გამგეობის ჩამოყალიბებამდე, ყრილობაზე ხმის მიცემაში მონაწილე დელეგატების დამტკიცება მოხდება მოქმედი გამგეობის მიერ მიღებული წესის მიხედვით.

6.9.ფედერაციის ყველა ხმის მიცემის მქონე პირს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა. დაუშვებელია ყრილობაზე ფედერაციის წევრის მიერ სხვა წევრისთვის ხმის უფლების დელეგირება.

6.10.ყრილობაში, იურიდიული პირი წევრის სახელით მონაწილეობას იღებს მის მიერვე განსაზღვრული წარმომადგენელი, რისთვისაც ფედერაციას წინასწარ უნდა ეცნობოს ფედერაციის ოფისში გამოგზავნილი, მისი ყრილობაში მონაწილეობის შესახებ უფლებამოსილების დოკუმენტით, ყრილობის ჩატარებამდე 5 დღით ადრე.

6.11.დაუშვებელია, რომელიმე დელეგატის ხმისათვის უფრო მეტი წონის ან სხვა პრივილეგიის მინიჭება სხვა დელეგატებთან მიმართებაში.

6.12.ყრილობის მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრებს უნდა ეცნობოთ ელ-ფოსტით ან მობილური ტელეფონის საშუალებით ყრილობის გამართვამდე 1 (ერთი) თვით ადრე. შეტყობინება ყრილობის ჩატარებაზე ასევე დაანონსებული უნდა იქნას ფედერაციის ვებ-გვერდზე (მისი არსებობის შემთხვევაში). შეტყობინება უნდა მოიცავდეს დროს, ჩატარების მეთოდს (დასწრება ან დისტანციური), დღის წესრიგს. დასწრების შემთხვევაში მითითებული უნდა იქნას ყრილობის ჩატარების ადგილი. დისტანციურად ჩატარების შემთხვევაში, დელეგატებს დაეგზავნებათ ელ.ფოსტით ინტერნეტის „პლატფორმის" შესაბამისი ბმული. იმ შემთხვევაში, თუ ყრილობის მიერ განხილულ უნდა იქნეს ფედერაციის გაუქმების საკითხი, ყრილობის მოწვევის შესახებ ფედერაციის წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით 45 (ორმოცდახუთი) დღით ადრე.

6.13.ყრილობა წარიმართება ფედერაციის პრეზიდენტის მიერ. პრეზიდენტის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ყრილობას წარმართავს ვიცე-პრეზიდენტი ან გენერალური მდივანი.

6.14.ყრილობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის მიცემის მქონე პირთა არანაკლებ 75%. იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუუნარო, მაშინ იგი განმეორებით მოიწვევა მეშვიდე დღეს იმავე დღის წესრიგით. განმეორებით მოწვეული ყრილობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ხმის მიცემის მქონე პირთა 50%-ზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში საკითხს კენჭი ეყრება განმეორებითი განხილვის შემდეგ.

6.15.საარჩევნო ყრილობა, პრეზიდენტის არჩევის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ფარული კენჭისყრით. დანარჩენ შემთხვევებში შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება ღია კენჭისყრით (ამ შემთხვევაში კენჭისყრის მეთოდს განსაზღვრავს ყრილობა).

6.16.ყრილობაზე გადაწყვეტილებები მიიღება კენჭისყრაში მონაწილე პირთა უბრალო უმრავლესობით, გარდა წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს თავად წესდების დამტკიცებას/ცვლილების შეტანას, ან ფედერაციის რეორგანიზაციას/ლიკვიდაციას.

6.17. ყრილობის გადაწყვეტილება ნამდვილია მაშინ, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შეტანილი იყო ყრილობის მოწვევის დროისთვის განსაზღვრულ დღის წესრიგში და შეტანილია ყრილობის ოქმში.

6.18. ფედერაციის საპატიო წევრს/პრეზიდენტს გააჩნია ხმის მიცემის უფლება.

6.19. ყრილობაზე შესაძლებელია მიწვეული იქნან საპატიო სტუმრები, კენჭისყრაში მონაწილეობის გარეშე.

6.20. ყრილობა ტარდება ნოტარიუსის მონაწილეობით, რომელიც საჯარო სამართლებრივი აქტით აფორმებს ყრილობის ოქმს.

7. ფედერაციის ყრილობის კომპეტენცია.

7.1. ყრილობის კომპეტენციას განეკუთვნება:

- ფედერაციის მიზნის შეცვლა;
- ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა და გამოწვევა;
- ფედერაციის პრეზიდენტის წარდგინებით, არაუმეტეს ორი ვიცე-პრეზიდენტის დამტკიცება და გამოწვევა;
- გამგეობის წევრების არჩევა და გამოწვევა;
- ფედერაციის წესდებაში ცვლილებების შეტანა და ახალი რედაქციის დამტკიცება;
- ფედერაციის პრეზიდენტის ანგარიშის მოსმენა და ფედერაციის განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებების წარდგენა;
- ფედერაციის რეორგანიზაცია ან გაუქმება (ლიკვიდაცია).

7.2. ყრილობა გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრაში დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა ხმების უმრავლესობით. გადაწყვეტილება გამგეობის ან მისი ცალკეული წევრის არჩევის ან გამოწვევის თაობაზე მიიღება დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა ხმების უბრალო უმრავლესობით. თუ ამ უმრავლესობით ვერ იქნა არჩეული გამგეობის წევრი, მაშინ იმავე დღეს გაიმართება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პირველ და მეორე ადგილზე გასული კანდიდატები. მეორე ტურში გამარჯვებულად მიიჩნევა ის კანდიდატი, რომელიც მოაგროვებს ყველაზე მეტ ხმას. ფედერაციის მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირთა ხმების 80%-ს. ფედერაციის გაუქმების ან რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ყრილობაზე დამსწრე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა ხმების 75%.

7.3. ფედერაციის გამგეობის წევრების წარდგენის უფლება აქვთ მხოლოდ ფედერაციის წევრებს. ამასთან, ფედერაციის ერთ წევრს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი კანდიდატი, რისთვისაც არჩევნებამდე 2 კვირით ადრე ფედერაციაში წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი წერილი და კანდიდატის მოკლე ბიოგრაფია.

7.4. ყრილობაზე შესაბამისი თანმიმდევრობით აირჩევა ფედერაციის პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და მათი არჩევის შემდეგ აირჩევიან გამგეობის წევრები.

8. ფედერაციის გამგეობა.

8.1. ფედერაციის გამგეობა წარმოადგენს ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც ფუნქციონირებს ფედერაციის ყრილობებს შორის. გამგეობა შედგება 10 (ათი) წევრისგან: ფედერაციის პრეზიდენტი, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი, ფედერაციის გენერალური მდივანი, ფედერაციის სპორტსმენთა კომიტეტის თავმჯდომარე და 5 (ხუთი) წევრი.

8.2. გამგეობის თავმჯდომარეა ფედერაციის პრეზიდენტი.

8.3. გამგეობის წევრებისთვის შრომის ანაზღაურების გაცემისა და მისი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გამგეობის მიერ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებული წესების გათვალისწინებით.

8.4. გამგეობის წევრებს ირჩევს ყრილობა არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით.

8.5. გამგეობის ყველა წევრის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

8.6. ერთი და იგივე პირი გამგეობის წევრი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

8.7. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის გასვლამდე რაიმე მიზეზით შეწყდება რომელიმე წევრის უფლებამოსილება, მაშინ გამგეობა შეარჩევს მისი ფუნქციების დროებით შემსრულებელს. უახლოესი ყრილობა დაამტკიცებს გამგეობის ახალ წევრს.

8.8. გამგეობა უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის ხმა. დაუშვებელია გამგეობის ერთი წევრის მიერ ხმის დელეგირება სხვა წევრისთვის.

8.9. გამგეობის გეგმიური შეკრება ტარდება 3 (სამი) თვეში ერთხელ დისტანციურად. აუცილებლობის შემთხვევაში, სხდომა ჩატარდება დასწრებით.

8.10. გამგეობის რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას ფედერაციის პრეზიდენტის მიერ, ან გამგეობის წევრთა 25%-ის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

8.11. გამგობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 3 (სამი) დღისა.

8.12. თუ გამგეობის შემადგენლობიდან რომელიმე წევრი ვერ ესწრება სხდომას, ამის თაობაზე გამგეობა ინფორმირებულ უნდა იქნას არაუგვიანეს 1 (ერთი) დღისა, მიზეზის მითითებით.

8.13. გენერალური მდივანი მონაწილეობს გამგეობის სხდომაში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

8.14. გამგეობის სხდომის დროს განხილული საკითხები და გადაწყვეტილებები აისახება ოქმში. ოქმის შედგენას უზრუნველყოფს ფედერაციის ოფისი.

9. გამგეობის კომპეტენცია.

9.1. გამგეობა უფლებამოსილია:

- განსაზღვროს ფედერაციის საქმიანობის პრინციპები;
- განსაზღვროს გამგეობის წევრთა ფუნქციები;
- პრეზიდენტის წარდგენით, განიხილოს და მიიღოს გადაწყვეტილება ფედერაციის კომიტეტების თავმჯდომარეების და წევრების დამტკიცებაზე;
- დაამტკიცოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი გენერალური მდივნის და ხაზინადარის კანდიდატურა;
- მიიღოს მონაწილეობა ფედერაციის ფონდის შექმნაში;

- შეიმუშაოს სტიპენდიების განაწილების პრინციპი, რომელიც აისახება შესაბამის დებულებაში;
- დადგენილი პერიოდულობით დააკორექტიროს სტიპენდიების განაწილების პრინციპი;
- განახორციელოს სპორტსმენთა დისკვალიფიკაცია ანტი-დოპინგური, ეთიკის და სხვა წესების დარღვევის შემთხვევაში;
- განიხილოს და გამოიტანოს შესაბამისი დადგენილება ფედერაციის ნებისმიერი წევრის მიერ ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც გამოიწვევს ფედერაციის როგორც ფინანსურ, ისე რეპუტაციულ ზიანს;
- თანხმობა მისცეს პრეზიდენტს ისეთი მოქმედებების შესრულებაზე, როგორიცაა: ფედერაციის სახელით უძრავი ნივთების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- შეიმუშაოს და დაამტკიცოს ფედერაციის წევრების კენჭისყრაში მონაწილეობის წესი;
- შეიმუშაოს და დამტკიცოს საწევრო გადასახადის ყოველწლიური ოდენობა, გადახდის თარიღი და წესი;
- განიხილოს ფედერაციის კომიტეტების მიერ წარმოდგენილი საკითხები და მიიღოს გადაწყვეტილება მათ შესახებ;
- დაამტკიცოს ფედერაციის სიმბოლოები (ლოგოტიპები, სავაჭრო ნიშნები და სხვ.);
- მიანიჭოს პირს ფედერაციის საპატიო წევრის სტატუსი;
- დაამტკიცოს ფედერაციის შინაგანაწესი, კომიტეტების და საბჭოების დებულებები.
- განიხილოს და დაამტკიცოს ფედერაციის ოფისის მიერ შემუშავებული წესდების ახალი რედაქცია (ცალკეული პარაგრაფების კორექტირებული ვერსიები) და გასცეს საბოლოო ვერსიის ყრილობაზე წარდგენის რეკომენდაცია;
- პრეზიდენტის წარდგენით დაამტკიცოს ფედერაციის თანამშრომლების ანაზღაურების წლიური ბიუჯეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წესების მიხედვით;
- განსაზღვროს ფედერაციის ფონდის განკარგვის წესები.

10. აღმასრულებელი საბჭო.

10.1. ფედერაციის გამგეობის სხდომებს შორის მიმდინარე ყოველდღიური საქმიანობის შესრულებისთვის, იქმნება აღმასრულებელი საბჭო.

10.2. აღმასრულებელი საბჭო შედგება პრეზიდენტისგან, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ისგან და გენერალური მდივნისგნ.

10.3. ნებისმიერი ორი წევრი შეადგენს კვორუმს.

10.4. გენერალური მდივანი ასისტირებას უწევს აღმასრულებელ საბჭოს ხმის მიცემის გარეშე.

11. ფედერაციის პრეზიდენტი.

11.1. ფედერაციის პრეზიდენტი წარმოადგენს უმაღლეს თანამდებობის პირს. ფედერაციის პრეზიდენტი მოქმედებს ფედერაციის სახელით და წარმოადგენს მას სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, აგრეთვე მესამე პირთა წინაშე.

11.2. ფედერაციის პრეზიდენტი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე (არჩევნებამდე მინიმუმ 4 წლის განმავლობაში მოქალაქეობის მქონე), რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება, არ არის ნასამართლეობის მქონე და ფლობს ქართულ ენას.

11.3. ფედერაციის პრეზიდენტი აირჩევა 4 (ოთხი) წლის ვადით.

11.4. ერთი და იგივე პიროვნება ფედერაციის პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ არა უმეტეს ორი ვადით.

11.5. ფედერაციის პრეზიდენტის / პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე, შესაბამის გონივრულ ვადაში, მაგრამ აღნიშნული ვადის ამოწურვამდე არა უგვიანეს 45 დღისა, ფედერაციის პრეზიდენტი/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ან გამგეობა ვალდებულია, მოიწვიოს ყრილობა და აირჩიოს ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, ფედერაციის წესდებით ყრილობის მოწვევისა და ჩატარებისთვის გათვალისწინებულ ვადებში და იმ პირობის დაცვით, რომ ყრილობამდე მოქმედი პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ამოწურვისთანავე, ახლად არჩეული პრეზიდენტი შეუდგება უფლებამოსილებების განხორციელებას.

11.6. ფედერაციის პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის/გადაყენების, ან სხვა რაიმე მიზეზით უფლებამოსილების შეწყვეტის ან უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ფედერაციის ყრილობის მიერ ახალი პრეზიდენტის არჩევამდე პერიოდში, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას (შემდგომ მითითებული რიგითობით) ასრულებს: ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან გენერალური მდივანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან ფედერაციის გამგეობის უხუცესი წევრი. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მას ჩაანაცვლებს ამ პუნქტში მითითებული რიგითობით მომდევნო სხვა პირი, ამ მუხლის 11.5 პუნქტში განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით.

11.7. ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებული პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს 3 თვის ვადით. მოცემული ვადა, გამგეობის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, შესაძლებელია გაგრძელდეს მხოლოდ ერთხელ, არაუმეტეს 3 თვით. დაუშვებელია, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდეს ჯამურად 6 თვეზე მეტი ვადით. ამასთან, მოცემული დანაწესი ეხება იმ შემთხვევას, როდესაც ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებული გარემოება დგება იმ პერიოდში, როდესაც პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი იყო 6 თვეზე მეტი ვადა. თუ პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე

დარჩენილია 6 თვეზე ნაკლები პერიოდი, ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებული გარემოების დადგომის შემთხვევაში, პირი ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებს არა უმეტეს პრეზიდენტის უფლებამოსილების ამოწურვამდე დარჩენილი ვადით.

11.8. ამ მუხლის 11.4 პუნქტში გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევა და ახალი პრეზიდენტის არჩევა უნდა მოხდეს ამ მუხლის 11.5 პუნქტით დადგენილი წესით და 11.3 პუნქტში მითითებული ვადების დაცვით.

11.9. თუ ამ მუხლის 11.3, 11.4 და 11.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და განსაზღვრულ ვადებში ვერ მოხდება ყრილობის ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე, მასთან ერთად უფლებამოსილება უწყდებათ ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს და გამგეობას. მოცემულ შემთხვევაში, ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე ყრილობას, რომელიც უნდა ჩატარდეს პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

11.10. ამ მუხლის 11.7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მომწვევი ფედერაციის წევრები (მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%) ქმნიან საინიციატივო ჯგუფს (არაუმეტეს 5 პირის შემადგენლობით), რომელიც უზრუნველყოფს ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო-ტექნიკური საკითხების გადაწყვეტას. ამასთან, ყრილობა უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

11.11. თუ ამ მუხლის 11.7 და 11.8 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებსა და ვადებში, ვერ განხორციელდება ამავე პუნქტებით განსაზღვრული ყრილობის ჩატარება ან/და ახალი პრეზიდენტის არჩევა, იწყება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი პროცედურები, ფედერაციის ლიკვიდაციის პროცესის განსახორციელებლად.

11.12. ფედერაციის ხელმძღვანელების (პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი და გენერალური მდივანი) უფლებამოსილების „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეჩერებისას, ფედერაციის გამგეობა ან ფედერაციის მოქმედ წევრთა არანაკლებ 25%, ფედერაციის ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, დაუყოვნებლივ იწვევს რიგგარეშე (საგანგებო) ყრილობას, რომელიც უნდა ჩატარდეს ფედერაციის ხელმძღვანელების უფლებამოსილების შეჩერებიდან არაუგვიანეს 2 თვის ვადაში.

11.13. ფედერაციის პრეზიდენტს ირჩევს ფედერაციის ყრილობა ფარული კენჭისყრით.

11.14. პრეზიდენტობის კანდიდატების წარდგენა შეუძლიათ მხოლოდ ფედერაციის წევრებს, ფედერაციის წევრებმა პრეზიდენტობის კანდიდატი წერილობით უნდა წარადგინონ ფედერაციაში არჩევნებამდე 10 (ათი) დღით ადრე, თანდართული ბიოგრაფიული მონაცემებით.

11.15. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტობის კანდიდატურა არ იქნა მიწოდებული დადგენილ ვადებში, მოქმედ პრეზიდენტს ავტომატურად უგრძელდება უფლებამოსილების ვადა უახლოეს ყრილობამდე.

11.16. ფედერაციის პრეზიდენტის მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას, გამგეობის დადგენილებით, ახორციელებს ვიცე-პრეზიდენტი.

11.17. იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტის მიერ თავისი თანამდებობრივი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა გრძელდება სამ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მაშინ გამგეობის მიერ მოიწვევა რიგგარეშე ყრილობა ახალი პრეზიდენტის ასარჩევად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რიგითი ყრილობის ჩატარებამდე დარჩენილია სამ თვეზე ნაკლები.

11.18. ფედერაციის პრეზიდენტი ხელმძღვანელობს ფედერაციის ფონდებისთვის ფინანსების მოძიების პროცესს.

11.19. ფედერაციის პრეზიდნტი გენერალურ მდივანთან და ხაზინადართან ერთად პასუხისმგებელია ფედერაციის ბიუჯეტის, ფონდის სწორ ხარჯვაზე.

11.20. პრეზიდენტი გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს კომიტეტების ხელმძღვანელების კანდიდატურებს (გარდა სპორტსმენთა კომიტეტისა).

11.21. პრეზიდენტი, გამგეობასთან ერთად, აკომპლექტებს დროებითი საბჭოების შემადგენლობას.

11.22. პრეზიდენტი არის ყველა კომიტეტის წევრი.

12. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.

12.1. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ს (არაუმეტეს ორი) პრეზიდენტის წარდგენით ამტკიცებს ყრილობა 4 წლის ვადით.

12.2. ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ის უფლებამოსილება წყდება ფედერაციის პრეზიდენტის/პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილების ვადის ამოწურვისთანავე.

12.3. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მონაწილეობს ფედერაციის აღმასრულებელი საბჭოს მუშაობაში.

12.4. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ(ებ)ი ასრულებენ იმ ფუნქციებს, რომლებსაც განუსაზღვრავს ფედერაციის პრეზიდენტი.

12.5. ერთი და იგივე პირი ვიცე-პრეზიდენტი შეიძლება იყოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

13. ფედერაციის გენერალური მდივანი.

13.1. გენერალური მდივანი (პრეზიდენტთან ერთად) არის ადმინისტრაციული საქმიანობის ხელმძღვანელი პირი.

13.2. გენერალურ მდივანს პრეზიდენტის წარდგენით, ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა 4 (ოთხი) წლის ვადით და ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

13.3. გენერალური მდივანი ასისტირებას უწევს პრეზიდენტს და ეხმარება პრეზიდენტს საერთაშორისო კავშირებში საქართველოს მშვილდოსნობის წარდგენაში.

13.4. გენერალური მდივანი პრეზიდენტთან ერთად წარადგენს ფედერაციას საერთაშორისო ორგანიზაციებში, საქართველოს კულტურისა და სპორტის

სამინისტროში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტში და სხვადასხვა ადგილობრივ ორგანიზაციებში.

13.5. გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს ფედერაციის ყრილობისა და გამგეობის სხდომების ორგანიზებას.

13.6. გენერალური მდივანი მონაწილეობს ყველა კომიტეტის, გამგეობის და აღმასრულებელი საბჭოს მუშაობაში ხმის მიცემის უფლების გარეშე.

13.7. გენერალური მდივანი, წლიური ბიუჯეტის მიხედვით, ადგენს ღონისძიებების წლიური კალენდარულ გეგმის ბიუჯეტის პროექტს, საშეჯიბრო-ტექნიკური და მწვრთნელთა კომიტეტების მიერ შემუშავებული ღონისძიებების საფუძველზე. პროექტი გადაეცემა დასამტკიცებლად ფედერაცის გამგეობას.

13.8. გენერალური მდივანი ფინანსდება ფედერაციის მიერ, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

13.9. გენერალური მდივნის შრომის ანაზღაურების გაცემის და მათი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გამგეობის მიერ ფედერაციის პრეზიდენტის წარდგენის საფუძველზე. ამასთან, მისი შრომის ანაზღაურების დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს როგორც ფედერაციის საკუთარი შემოსავლებიდან ან არასაბიუჯეტო წყაროებით მოზიდული სახსრებიდან, ასევე, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

13.10. გენერალური მდივანი, შესაბამისი დაშვების მეშვეობით, ფედერაციის ფოსტიდან უზრუნველყოფს ინფორმაციის ატვირთვას სამინისტროს, WA და WAE სისტემებში.

14. ფედერაციის ხაზინადარი.

14.1. ფედერაციის ხაზინადარი (პრეზიდენტთან ერთად) არის ფინანსური საქმიანობის წარმმართველი პირი.

14.2 ფედერაციის ხაზინადარს ამტკიცებს გამგეობა პრეზიდენტის წარდგენით 4 წლის ვადით და ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

14.3. ფედერაციის ხაზინადარი წარმოადგენს ფედერაციის ოფისის თანამშრომელს, რომელიც ფინანსდება ფედერაციის ფონდიდან ხელშეკრულების საფუძველზე.

14.4. ფედერაციის ხაზინადარი აწარმოებს ყველა ფინანსურ საბანკო ოპერაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ფედერაციის შეუფერხებელ საქმიანობას.

14.5. ფედერაციის ხაზინადარი პასუხისმგებელია ფინანსური დოკუმენტაციის სრულ აღრიცხვაზე, შენახვაზე როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით.

14.6. ფედერაციის ხაზინადარი ფედერაციის გენერალურ მდივანთან ერთად, ადგენს წლიურ ბიუჯეტს, რომელიც შემდგომ გადაეცემა გამგეობას დასამტკიცებლად.

14.7. ფედერაციის ხაზინადარი, ფედერაციის გენერალურ მდივანთან ერთად, ამზადებს წლიურ ფინანსურ ანგარიშს.

14.8. ფედერაციის ხაზინადარი ამზადებს ანგარიშებს აუდიტისთვის, ყრილობისთვის.

14.9. ხაზინადარი არ არის გამგეობის წევრი.

14.10. ხაზინადარისთვის შრომის ანაზღაურების გაცემის და მათი ოდენობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს გამგეობის მიერ პრეზიდენტის წარდგენის საფუძველზე. ამასთან, მისი შრომის ანაზღაურების დაფინანსება შეიძლება

განხორციელდეს როგორც ფედერაციის საკუთარი შემოსავლებიდან ან არასაბიუჯეტო წყაროებით მოზიდული სახსრებიდან, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან.

15. ფედერაციის ოფისი.

15.1. ფედერაციის შეუფერხებელ ფუნქციონირებას ახორციელებს ფედერაციის ოფისი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი პირი.

15.2. ოფისში შედის შემდეგი ოთხი განყოფილება:

- ფინანსური განყოფილება;
- ტექნიკური განყოფილება:
- ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;
- ღონისძიებებისა და მარკეტინგის განყოფილება;

15.3. ფინანსური განყოფილება უზრუნველყოფს:

- საბუღალტრო, საგადასახადო და ფინანსურ აღრიცხვას;
- კავშირს აუდიტორებთან და საფინანსო-სააუდიტორო საბჭოსთან;
- ფედერაციის ბიუჯეტის სწორ ხარჯვას;
- ფინანსური ანგარიშების მომზადებას ფედერაციაში დადგენილი წესით და ვადებში.

15.4. ტექნიკური განყოფილება უზრუნველყოფს:

- ფედერაციის მონაცემთა ბაზის მართვას, განახლებას
- ფედერაციის ვებ-გვერდის/სოციალური ქსელის მართვას და განახლებას;
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვას ფედერაციის გამგეობის სხდომების და ყრილობების ჩატარებისთვის ინტერნეტის ეფექტური გამოყენებისთვის;
- საკომუნიკაციო ქსელების მოწესრიგებას და მათ მზადყოფნას;
- ფედერაციის მიერ დადგენილ სხვა მოვალეობების შესრულებას.

15.5. ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს:

- ადამიანური რესურსების და ოფისის ადმინისტრირებას;
- სპორტსმენთა და მსაჯთა კომიტეტებთან ურთიერთობას;
- თანამშრომლების სამივლინებო დოკუმენტების მომზადებას;
- ურთიერთობას ფედერაციის ყველა წევრთან;
- ინფორმაციის მიწოდებას და განახლებას ფედერაციის ვებ-გვერდის და სოციალური ქსელების საშუალებით;
- წევრ-ორგანიზაციებიდან ანგარიშების მიღებას;
- ფედერაციის მიერ დადგენილ სხვა მოვალეობების შესრულებას.

15.6. ღონისძიებების და მარკეტინგის განყოფილება უზრუნველყოფს:

- ოპერატიულ ხელმძღვანელობას ფედერაციის ღონისძიებების შესრულებაზე;
- ღონისძიებების სატენდერო წინადადებების მართვას, კონტრაქტებისა და მარკეტინგული პროგრამების შემუშავებას;
- ურთიერთობას საშეჯიბრო -ტექნიკურ კომიტეტთან;
- ფედერაციის მიერ დადგენილ სხვა მოვალეობების შესრულებას.

16. ფედერაციის კომიტეტები და საბჭოები.

16.1. ფედერაციის ამოცანების განხორციელებისთვის, ფედერაციის სტრუქტურაში შეყვანილია მუდმივი კომიტეტები და სპეციალურ ამოცანების შესასრულებლად იქმნება დროებითი საბჭოები.

16.2. მუდმივი კომიტეტებია:

- მწვრთნელთა კომიტეტი;
- საშეჯიბრო-ტექნიკური კომიტეტი;
- სპორტსმენთა კომიტეტი;
- მსაჯთა კომიტეტი;
- დისციპლინარული კომიტეტი;
- პარამშვილდოსნობის კომიტეტი.

16.3. მუდმივი კომიტეტების თავმჯდომარეები და შემადგენლობა მტკიცდება ფედერაციის გამგეობის მიერ (გარდა სპორტსმენთა კომიტეტისა) გამგეობის მოქმედების ვადით.

16.4. სპორტსმენთა კომიტეტის თავმჯდომარეს ირჩევს სპორტსმენთა საერთო კრება ფედერაციის წარდგენით.

16.5. თუ მუდმივი კომიტეტის წევრს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მოვალეობები, გამგეობა ნიშნავს ახალ წევრს, რომელიც იმოქმედებს წინამორბედის დარჩენილი ვადის განმავლობაში.

16.6. დროებითი საბჭოებია (იქმნება საჭიროებისამებრ):

- ანტიდოპინგური საბჭო;
- იურიდიული და ეთიკის საბჭო;
- საფინანსო და აუდიტის საბჭო;
- საარჩევნო საბჭო.

16.7. კომიტეტების საქმიანობის წესი და მათი ამოცანები განისაზღვრება დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს ფედერაციის გამგეობა;

16.8. კომიტეტის წევრად შეიძლება არჩეული იქნას პირი, რომელიც არ არის ფედერაციის წევრი.

16.9. კომიტეტის თავმჯდომარის ან წევრის შეცვლის შემთხვევაში, ახალი კანდიდატი ანაცვლებს მათ იმ ვადის დასრულებამდე რა ვადითაც იყო არჩეული წინამორბედი.

17. მშვილდოსნობის რეგიონული ერთეულები.

17.1. საქართველოს რეგიონებში შეიძლება შეიქმნას მშვილდოსნობის რეგიონული ფედერაციები/ასოციაციები, რომელთა აღიარებაც უნდა მოხდეს ეროვნული ფედერაციის მიერ, მათ მიერ ფედერაციაში წარდგენილი განცხადების საფუძველზე.

17.2. ამასთან, თითოეულ რეგიონში აღიარებულ უნდა იქნას მშვილდოსნობის მხოლოდ ერთი რეგიონული ფედერაცია/ასოციაცია.

17.3. შესაძლებელია სხვა სახის გაერთიანების შექმნა უკვე არსებულ სპორტულ ერთეულებში, როგორიც არის სპორტული სკოლა ან სხვა.

17.4. რეგიონში ფედერაციის ეგიდით მშვილდოსნობის შეჯიბრებების ჩატარების უფლება აქვს მხოლოდ აღიარებულ რეგიონალურ ფედერაციას/ასოციაციას, სპორტულ გაერთიანებებს.

17.5. დაუშვებელია არაღიარებულ რეგიონალურ ფედერაციის/ასოციაციის ან სხვა სპორტული გაერთიანების მიერ ისეთი შეჯიბრებების ჩატარება მშვილდოსნობაში, რომლის სახელწოდებაში იქნება გამოყენებული სიტყვა „საქართველო“, მაგალითად „საქართველოს ჩემპიონატი“, „საქართველოს თასი“ და სხვა.

18. ფედერაციის ქონება და ფონდი.

18.1. ფედერაციის ქონება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნებისათვის.

18.2. ფედერაციის წევრები არ იღებენ არავითარ წილს ფედერაციის ქონებიდან. ფედერაციის მიერ მიღებული მოგება მოხმარდება მხოლოდ ფედერაციის მიზნების განხორციელებას.

18.3. ფედერაციის შემოსავლებიდან ყალიბდება ფედერაციის ფონდი. შესაძლებელია შეიქმნას სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა ფონდები.

18.4. ფედერაციის ფონდი იქმნება პრეზიდენტის უშუალო მონაწილეობით.

18.5. ფედერაციის ფონდის შექმნაში მონაწილეობენ მასში შემავალი ხელმძღვანელი პირები.

18.6. ფედერაციის ფონდის შექმნაში მონაწილეობის უფლება აქვს ფედერაციის ნებისმიერ წევრს.

18.7. ფედერაციის ფონდის შევსების წყაროებია:

- ფედერაციების სპონსორების მიერ განხორციელებული შენატანები;
- ფედერაციის წევრთა საწევრო შესატანი;
- სარეკლამო მოღვაწეობიდან მიღებული შემოსავალი;
- სესხები და კრედიტები;
- კომერციული სპორტული ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლები;
- ფედერაციის ატრიბუტების გამოყენებით მიღებული შემოსავალი;
- სხვადსხვა სახის კურსების, სემინარების მოწყობიდან მიღებული შემოსავალი;
- საერთაშორიო ტურნირების ჩატარებიდან მიღებული შემოსავალი;
- შემოწირულობები;
- სხვა წყაროები, რომლებიც არ არის აკრძალული კანონმდებლობით.

19. ფედერაციის ატრიბუტები.

19.1. ფედერაციას გააჩნია საკუთარი ემბლემა.

19.2. ფედერაციის ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნას სამკერდე ნიშნების, სამახსოვრო ვიმპელების, სუვენირების, პლაკატებისა და სხვა ნივთების დასამზადებლად.

19.3. ფედერაციის ემბლემასთან ერთად შესაძლებელია დადგენილი წესით გამოყენებულ იქნას გენერალური სპონსორის ემბლემა.

20. ფედერაციის რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია).

20.1. ფედერაციის რეორგანიზაცია (მიერთება, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.2. ფედერაციის გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას.
- თუ ფედერაცია არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე.
- კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

20.3. ფედერაციის რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის საკითხი განიხილება გამგეობის მიერ. გამგეობის გადაწყვეტილება (დადგენილება) დასამტკიცებლად წარედგინება ფედერაციის ყრილობას. წინამდებარე საკითხთან დაკავშირებით შესაძლებელია რიგგარეშე ყრილობის მოწვევა.

20.4. ფედერაციიდან რომელიმე წევრის გასვლა არ გამოიწვევს ფედერაციის გაუქმებას.

20.5. ფედერაციის ლიკვიდაციას ახორციელებს ფედერაციის გამგეობა. ლიკვიდაციის განხორციელება შეიძლება დაევალოს გამგეობის ერთ ან რამდენიმე წევრს.

20.6. ფედერაციის ქონების ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

20.7. ფედერაციის ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გამოიტანს ფედერაციის ყრილობა.

21. დავის გადაწყვეტა.

21.1. ფედერაციის წევრებს, ასევე ფედერაციასა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

21.2. ფედერაციასა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

პრეზიდენტი

ხელმოწერა:_____

სხდომის მდივანი

ხელმოწერა:_____